



თბილისის სააპელაციო სასამართლო
გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №28/223-14

21 ოქტომბერი, 2014 წელი

სამოქალაქო საქმეთა პალატა

თავმჯდომარე – ქეთევან მესხიშვილი
მოსამართლეები – ნათია გუჯაბიძე, ნატალია ნაზღაიძე

სხდომის მდივანი – დარეჯან ბიძინაშვილი

აპელანტი – ე. ფ.

წარმომადგენელი – მ. ჯ.

მოწინააღმდეგე მხარე – ნ. ც.

წარმომადგენელი – პ. ლ.

დავის საგანი – აღსრულების წესის და საშუალების შეცვლა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება

1. აპელანტის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა
2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება

ნ. ც.-ს სასარჩელო მოთხოვნა: ნოტარიუს რ. ჩ.-ს მიერ 13.12.2011წ. ნ. ც.-ს სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცლით (რეგ. N111358XXX) ე. ფ.-ს წინააღმდეგ განსაზღვრული აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა სესხის დავალიანების (ძირითადი თანხა – 5000 ევრო; პროცენტი – 1200 ევრო; პირგასამტეხლო – 1005 ევრო; პირგასამტეხლო 13.12.2011წ-დან აღსრულებამდე ძირითადი თანხის 0,3% ყოველ ვადაგადაცდილებულ დღეზე) დაფარვის მიზნით ე. ფ.-ს სხვა ქონებაზე (გარდა უძრავი ქონებისა მდებარე: ქ. თბილისი, ჩ.-ს ქ. NXX) აღსრულების მიქცევის გზით.

გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი



ნ. ც.-ს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. 19.11.2010წ. სესხის ხელშეკრულების საფუძველზე (რეგ. N101166XXX) ე. ფ.-ს დავალიანება ნ. ც.-ს მიმართ განსაზღვრული ნოტარიუს რ. ჩ.-ს 13.12.2011წ. სააღსრულებო ფურცლით (რეგ. N111358XXX) შეიცვალა და დავალიანება 13.12.2011წ. მდგომარეობით განისაზღვრა შემდეგი ოდენობით: ძირითადი თანხა - 5000 ევრო; სარგებელი (პროცენტი) - 1200 ევრო; პირგასამტეხლო - 100 ევრო; პირგასამტეხლო 13.12.2011წ.-დან აღსრულებამდე ყოველ გადაცილებულ დღეზე გადასახდელი ძირითადი თანხის - 5000 ევროს 0,03% - 1,5 ევრო, რომლის დაფარვის მიზნით აღსრულება მიექცა ე. ფ.-ს ქონებაზე, გარდა უძრავი ქონებისა, მდებარე ქ. თბილისი, ჩ.-ს ქ. NXX, საკადასტრო კოდი XX.XX.XX.XXX.XXX.XX.XXX.

ნ. ც.-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე 905 ევროს ოდენობით პირგასამტეხლოს ანაზღაურების და, ასევე, 13.12.2011წ.-დან აღსრულებამდე სესხის ძირითადი თანხის - 5000 ევროს ყოველდღიური 0,27%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს ანაზღაურების თაობაზე ე. ფ.-ს მიმართ აღსასრულებლად მიქცევის შესახებ მოთხოვნის ნაწილში.

დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით

უდავო ფაქტობრივი გარემოებები

2.1. ნ. ც.-ს (გამსესხებელი-იპოთეკარი) და ე. ფ.-ს (მსესხებელი-მესაკუთრე) შორის 19.11.2010წ. სანოტარო წესით, წერილობით გაფორმდა სესხის და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ნ. ც.-მ ე. ფ.-ს სესხად გადასცა 5000 ევრო სამი თვის - 19.02.2011წ.-მდე ვადით, ყოველთვიური 5% სარგებლის (250 ევრო) გადახდით, პირგასამტეხლო - გადასახდელი თანხის 0,3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. მხარეთა შეთანხმებით (პირველი პუნქტი) ყოველი გადახდის შესახებ უნდა შემდგარიყო წერილობითი დოკუმენტი. ხელშეკრულება უზრუნველყოფილ იქნა ე. ფ.-ს კუთვნილ უძრავ ქონებაზე იპოთეკით მდებარე: ქ. თბილისი, ჩ.-ს ქ. NXX. ხელშეკრულების მე-5 პუნქტით განისაზღვრა იპოთეკარის უფლებამოსილება - მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით იპოთეკის საგნის რეალიზაცია განხორციელებულიყო ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. ამასთან, იპოთეკის საგნის რეალიზაციისას იპოთეკარის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლებოდა მხოლოდ იმ ნაწილში, რასაც დაფარავდა იპოთეკის საგნის ღირებულება. შესაბამისად, იპოთეკარს უფლება ჰქონდა, მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების მიზნით გადახდა მიექცია მოვალის სხვა ქონებაზე. (ს.ფ. 10-13)

2.2. კრედიტორ ნ. ც.-ს მოთხოვნით ნოტარიუსმა რ. ჩ.-მ 13.12.2011წ. გაცა სააღსრულებო ფურცელი (რეგ. N111358XXX), რომლის მიხედვით, 13.12.2011წ. მდგომარეობით აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა (ძირითადი თანხის, პროცენტის და პირგასამტეხლოს გათვალისწინებით) 7205 ევროს ოდენობით (აქედან, ძირითადი თანხა შეადგენს - 5000 ევროს, პირგასამტეხლო - 2205 ევროს, პლუს პირგასამტეხლო გადასახდელი ძირითადი თანხის 0,3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე აღსრულებამდე), რომლის დაფარვის მიზნით უნდა განხორციელებულიყო იპოთეკის საგნის რეალიზაცია (ს.ფ. 15).

2.3. კრედიტორმა ნ. ც.-მ სააღსრულებო ფურცელი 23.01.2012წ. წარადგინა აღსასრულებლად აღსრულების ეროვნულ ბიუროში, მაგრამ მოვალე ე. ფ.-ს კუთვნილი უძრავი ქონების



(იპოთეკის საგნის) რეალიზაცია პირველ და განმეორებით აუქციონზე არ განხორციელდა, რის გამოც სააღსრულებო სამსახურმა აღსრულება შეწყვიტა, ხოლო უძრავი ქონება გათავისუფლდა ნ. ც.-ს სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან და დაუბრუნდა ე. ფ.-ს (ს.ფ. 22-23).

დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები

2.4. ე. ფ.-ს არ აქვს გადახდილი სესხის პროცენტი 19.11.2010წ-დან 19.02.2011წ-დე პერიოდისათვის (2010წ. დეკემბერი, 2011წ. იანვარ-თებერვალი) - თვეში 250 ევრო, ჯამში - 750 ევრო.

სესხის ხელშეკრულების პირველი პუნქტის მიხედვით, „სარგებელი შეადგენს ყოველთვიური 5 (ხუთი) % დარიცხვით და გადახდით“. სასამართლოს განმარტებით, ხელშეკრულების ამ დათქმის თანახმად, სარგებელი უნდა გადახდილიყო ყოველთვიურად.

ამავე ნორმით, „მოვალის (მსესხებლის) მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული სარგებლის (პროცენტის) გადახდა უნდა მოხდეს: იპოთეკარის, ან მისი წარმომადგენლის (ხელშეკრულებით ასეთის არსებობისას) თანხის მიწოდება განხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით (ხელზე გადაცემით). ყოველი გადახდის შესახებ დგება წერილობითი დოკუმენტი ორ ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან“ (ს.ფ. 11).

19.11.2010წ-დან 19.02.2011წ-დე პერიოდის პროცენტის გადახდის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულება მოპასუხე მხარეს არ წარუდგენია. 25.10.2013წ. სასამართლო სხდომაზე თავად მოპასუხის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დასახელებული პერიოდის პროცენტის გადახდის თაობაზე წერილობითი მტკიცებულება არ გააჩნდა, ხოლო მის მიერ წარმოდგენილი ხელწერილები ამ პერიოდის პროცენტის გადახდას არ ადასტურებდა (14:43:43 – 14:43:56).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 და 102-ე მუხლებით განსაზღვრული შეჯიბრებითობის და მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპების გათვალისწინებით, ასევე, თავად მოპასუხის წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2010წ. დეკემბრის და 2011წ. იანვარ-თებერვლის პროცენტი - 750 ევრო მოპასუხე ე. ფ.-ს გადახდილი არ აქვს.

2.5. 19.11.2010წ. სესხის ხელშეკრულება სამი თვის გასვლის შემდეგ (19.02.2011წ.) არ შეწყვეტილა და, მხარეთა შეთანხმებით, მისი მოქმედება გაგრძელდა ვადის განსაზღვრის გარეშე. ამასთან, მოპასუხე ე. ფ.-ს მიერ ნ. ც.-სათვის გადახდილია: 26.04.2011წ. - 250 ევრო; 17.05.2011წ. - 250 ევრო; 22.07.2011წ. - 750 ევრო. 5.10.2011წ. - 500 ევრო; 25.11.2011წ. - 300 აშშ დოლარი არის სესხის 2011 წლის მარტი-აპრილი-მაისი-ივნისი-ივლისი-აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბრის თვეების პროცენტი (სარგებელი) და არა სესხის ძირითადი თანხის დაფარვისათვის გადახდილი თანხა. კერძოდ:

2011 წლის 26 აპრილის ხელწერილით ნ. ც. ადასტურებს ე. ფ.-საგან 250 ევროს მიღებას (ს.ფ. 82);

2011 წლის 17 მაისის ხელწერილში მითითებულია, რომ ნ. ც.-მ მიიღო 250 ევრო აპრილის თვის (ს.ფ. 81);

2011 წლის 22 ივლისის ხელწერილში ნ. ც. მიუთითებს, რომ ე. ფ.-საგან მიიღო 750 ევრო სამი თვის პროცენტი 19 ივლისის ჩათვლით (ს.ფ. 84);



2011 წლის 5 ოქტომბრის ხელწერილით ნ. ც. ადასტურებს ე. ფ.-საგან 500 ევროს მიღებას (ს.ფ. 83);

2011 წლის 25 ნოემბრის ხელწერილით დადასტურებულია ე. ფ.-საგან ნ. ც.-ს მიერ 300 აშშ დოლარის მიღება (ს.ფ. 85) (სასამართლო სხდომაზე მხარეებმა დაადასტურეს, რომ 300 აშშ დოლარი არის 250 ევროს ექვივალენტი).

ამდენად, ე. ფ.-ს მიერ ნ. ც.-სათვის გადახდილი თანხა ჯამში შეადგენს - 2000 ევროს.

თანხის გადახდის შესახებ ხელწერილები წარადგინა მოპასუხე მხარემ. სესხის სამთვიანი ვადა მთავრდებოდა 2011 წლის 19 თებერვალს, ხოლო ყოველთვიური პროცენტი შეადგენდა 250 ევროს.

სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი სამი თვის პროცენტი (2010 წლის 19 დეკემბერს, 2011 წლის 19 იანვარს და 19 თებერვალს) მოპასუხე ე. ფ.-ს გადახდილი არ აქვს. ხელწერილებში არსადაა მითითებული, რომ ამ თანხებით სესხის ძირი იფარებოდა, პირიქით, მათში ყოველთვიურ გადასახდელებზე და პროცენტზეა აქცენტირება. წარმოდგენილი ხელწერილების ტექსტის ტერმინოლოგია (აპრილის თვის; სამი თვის პროცენტი), თარიღზე მითითება (19 ივლისის ჩათვლით), თანხის ოდენობა (250 ევრო ან მისი ჯერადი – 500 ევრო, 750 ევრო) და, ასევე, ხელწერილების კომპლექსური (ერთობლივი) ანალიზი, სასამართლომ საკმარისად მიიჩნია იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ 2011 წლის 19 თებერვლის შემდეგ სესხის ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა ვადის მიუთითებლად და ამ თანხებით გადახდილია 8 თვის პროცენტი – 2000 ევრო 2011 წლის 19 მარტიდან 19 ოქტომბრის ჩათვლით.

სასამართლოს განმარტებით, 2011 წლის 17 მაისის ხელწერილში აღნიშვნა, რომ 250 ევრო არის აპრილის თვის, ადასტურებს, რომ ეს თანხა არის აპრილის თვის პროცენტი; მანამდე – 2011 წლის 26 აპრილს გადახდილ 250 ევროზე, მართალია, არ არის მითითება, რომელი თვის პროცენტია, მაგრამ, ვინაიდან თებერვლის თვის ჩათვლით პროცენტი გადახდილი არ არის, ხოლო მაისში გადახდილია აპრილის თვის, ე.ი. აპრილში გადახდილია წინა თვის – მარტის პროცენტი; 2011 წლის 22 ივლისს გადახდილია 750 ევრო – სამი თვის პროცენტი 19 ივლისის ჩათვლით, ანუ მაისი, ივნისი, ივლისი; 5 ოქტომბერს გადახდილია 500 ევრო, ანუ ორი თვის – აგვისტო-სექტემბერი; ხოლო 25 ნოემბერს – 300 აშშ დოლარი (250 ევრო) - ოქტომბრის თვის პროცენტი. ამასთან, მხარეები ადასტურებენ ამგვარ ქრონოლოგიას.

ამ შემთხვევაშიც მოპასუხე მხარემ ვერ დაამტკიცა მის მიერ მითითებულ გარემოება. მხოლოდ ზეპირი განმარტებით და ისიც იმ პირობებში, როდესაც მოპასუხის მიერვე წარმოდგენილი ხელწერილები საპირისპიროს მიუთითებენ, სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა 2011 წლის 19 თებერვალს და ძირითადი თანხის 2000 ევროთი (3000 ევრომდე) შემცირება არ დადასტურდა.

2.6. 2011 წლის 19 ოქტომბრის შემდეგ მოპასუხე ე. ფ.-ს მიერ სესხის პროცენტის (სარგებლის) გადახდა არ დადასტურდა. სესხის ხელშეკრულება შეწყდა 2011 წლის 13 დეკემბერს, როდესაც მოსარჩელემ მიმართა ნოტარიუსს და მიიღო სააღსრულებო ფურცელი. ამდენად, 2011 წლის 19 ოქტომბრის შემდეგ ხელშეკრულების შეწყვეტამდე, მოპასუხეს გადაუხდელი აქვს სარგებელი 19 ოქტომბრიდან 19 ნოემბრამდე - 250 ევრო და 19 ნოემბრიდან 13 დეკემბრამდე - 24 დღის - 200 ევრო ($250:30 = 8,33 \times 24$).



ამდენად, მოპასუხეს ჯამში გადაუხდელი აქვს სარგებელი (პროცენტი) 4 თვის და 24 დღის – 1200 ევრო (2010 წლის დეკემბერი, 2011 წლის იანვარ-თებერვალი, 2011 წლის ნოემბერი, 2011 წლის 19 ნოემბრიდან 13 დეკემბრამდე).

ამდენად, სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის წარმომადგენლის არგუმენტაცია, რომ ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებული 2205 ევროდან 1200 ევრო არის გადაუხდელი პროცენტი, ხოლო დარჩენილი 1005 ევრო არის პირგასამტეხლო, რაც ერიცხებოდა გადაუხდელ ყოველთვიურ პროცენტს ყოველდღიურად დღეში 0,3%.

დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით

2.7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება არის ვალდებულების წარმოშობის საფუძველი, ხოლო 327-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

2.8. სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის დანაწესით, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

ამავე კოდექსის 625-ე მუხლით, სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი.

ამავე კოდექსის 626-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას.

სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის მიხედვით, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს.

ამავე კოდექსის 301-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტით, მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

19.11.2010წ. ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმებული იყვნენ სესხის და იპოთეკის არსებით პირობებზე. სესხი იყო სასყიდლიანი, სამი თვის - 19.02.2011წ-მდე ვადით, მაგრამ,



მხარეთა ურთიერთთანხმობით, ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდა უვადოდ, ხოლო შეწყდა 2011 წლის 13 დეკემბერს. ხელშეკრულების მე-5 პუნქტით, იპოთეკის საგნის რეალიზაციის შედეგად მოთხოვნის სრულად დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში იპოთეკარი უფლებამოსილი იყო, გადახდა მიექცია მოვალის სხვა ქონებაზე მოთხოვნის სრულად დაუკმაყოფილების მიზნით.

დადგენილია, რომ იპოთეკის საგნის რეალიზაცია ვერ განხორციელდა, რის გამოც იგი დაუბრუნდა მოვალეს - ე. ფ.-ს, ხოლო ნ. ც.-ს მოთხოვნა კი დაუკმაყოფილებული არ არის, რის გამოც, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების თანახმად, ნ. ც. უფლებამოსილია, მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ე. ფ.-ს სხვა ქონებიდან, გარდა უძრავი ქონებისა მდებარე: ქ. თბილისში, ჩ.-ს ქ. NXX.

2.9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება).

ამავე კოდექსის 429-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოვალე ე. ფ.-ს მოთხოვნით კრედიტორ ნ. ც.-ს გაცემული აქვს დოკუმენტები მხოლოდ რვა თვის პროცენტის მიღების შესახებ, ხოლო პირველი სამი თვის და ზოლო ერთი თვის და 24 დღის პროცენტის გადახდა არ დასტურდება. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ 5000 ევროს ოდენობით ძირითადი თანხის და 1200 ევროს ოდენობით პროცენტის გადახდის ნაწილში ვალდებულება შეწყვეტილი არ იყო, რის გამოც აღსრულება უნდა მიქცეულიყო ამ თანხის დაფარვის მიზნით.

2.10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

სასამართლომ განმარტა, რომ პირგასამტეხლო ატარებს პრევენციული და მინიმალური ზიანის ანაზღაურების ფუნქციას და იგი უნდა იყოს ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი და გონივრული. ამიტომ პირგასამტეხლო, რომელიც გადააჭარბებს ამ ოდენობას, იძენს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს სტატუსს.

მოცემულ შემთხვევაში სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა თვეში 5%-ს, ხოლო პირგასამტეხლოს დაწესება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,3%-ის ოდენობით, რაც თვეში 9%-ს შეადგენს, მნიშვნელოვნად აღემატება პირგასამტეხლოს ფუნქციურ დანიშნულებას. ამიტომ აღსასრულებელი პირგასამტეხლოს ოდენობა 1005 ევროდან შემცირდა 100 ევრომდე, ხოლო მისი დღიური განაკვეთი 0,03%-მდე, რაც 13.12.2011წ-დან უნდა დაერიცხოს სესხის ძირითად თანხას - 5000 ევროს აღსრულებამდე.

ამდენად, სარჩელი არ დაუკმაყოფილდა 905 ევროს ფარგლებში ($1005 - 100 = 905$) პირგასამტეხლოს და, ასევე, 13.12.2011წ-დან დავალიანების დაფარვამდე ყოველდღიურად სესხის დარჩენილი ძირითადი თანხის - 5000 ევროს 0,27%-ის ოდენობით ($0,3 - 0,03 = 0,27$)



პირგასამტეხლოს ანაზღაურების თაობაზე აღსასრულებლად მიქცევის შესახებ მოთხოვნის ნაწილში.

3. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

3.1. მხარეთა შორის არსებობდა სესხისა და იპოთეკის სახელშეკრულებო ურთიერთობა და ეს დადგენილია საქმის მასალებით. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ არანაირი წერილობითი აქტი ზემოთხსენებული ხელშეკრულების გასაგრძელებლად არ შედგენილა და მხარეებს შორის არც ზეპირი შეთანხმება ყოფილა, რაც სასამართლომ არ გაიზიარა;

3.2. საქმის მასალებით დგინდება, რომ ე. ფ.-ს, საბოლოოდ, 3050 ევრო დარჩა გადასახდელი, რასაც არ უარყოფს კიდეც;

3.3. სასამართლოს დასკვნები პირგასამტეხლოს შესახებ ბუნდოვანია;

3.4. პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლი, რადგან მხარეთა შორის გაფორმებულია სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება. პროცენტთან დაკავშირებით სასამართლომ არასწორად განმარტა 625-ე მუხლი;

3.5. სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლის შესაბამისად, თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა მიერ შესრულების დრო გათვალისწინებული იყო. ე. ფ.-ს შესრულების ვადის გასვლის შემდეგ გარკვეული თანხა გადახდილი აქვს, მაგრამ კრედიტორმა ეს ძირითადი თანხის გადახდაში არ ჩაუთვალა. სასამართლომაც ასევე ამ თანხის გადახდის დანიშნულება არასწორად განსაზღვრა.

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 386-ე მუხლის შესაბამისად, თუ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია და საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უბრუნდება, სააპელაციო სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას საქმეზე. იგი თავისი განჩინებით უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე ან გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით იღებს ახალ გადაწყვეტილებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე ხელმეორედ არ წყდება არსებითად, მიიღება განჩინების ფორმით. განჩინება სამოტივაციო ნაწილის ნაცვლად უნდა შეიცავდეს მოკლე დასაბუთებას გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ან უცვლელად დატოვების შესახებ.



ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 384-ე მუხლის მიხედვით, სააპელაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად, განმტკიცებულია დისპოზიციურობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა.

სააპელაციო პალატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო ნორმებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნევს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგ გარემოებას:

4.1. ე. ფ.-ს, დავალიანების შემცირების მოთხოვნით, პირველი ინსტანციის სასამართლოში შეგებებული სარჩელი არ აღუძრავს.

საქმის მასალებით დგინდება, რომ ნ. ც.-მ პირველი ინსტანციის სასამართლოს სარჩელით მიმართა და მოითხოვა ნოტარიუსის მიერ, მის სასარგებლოდ გაცემული სააღსრულებო ფურცლით ე. ფ.-ს წინააღმდეგ განსაზღვრული აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა სესხის დავალიანების (ძირითადი თანხა – 5000 ევრო; პროცენტი – 1200 ევრო; პირგასამტეხლო – 1005 ევრო; პირგასამტეხლო 13.12.2011წ-დან აღსრულებამდე ძირითადი თანხის 0,3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე) დაფარვის მიზნით, ე. ფ.-ს სხვა ქონებაზე (გარდა უძრავი ქონებისა მდებარე: ქ. თბილისი, ჩ.-ს ქ. NXX) აღსრულების მიქცევის გზით. სარჩელის საფუძვლად მითითებულია ის გარემოება, რომ აღნიშნული სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად მიქცეული იყო, თუმცა, აღსრულების პროცესში იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია ვერ მოხერხდა, რის გამოც იპოთეკა უძრავ ქონებაზე გაუქმდა და უზრუნველყოფის საგანი მოვალეს დაუბრუნდა. მოსარჩელის განმარტებით, მისი მოთხოვნა საფუძვლიანია იმდენად, რამდენადაც 2010 წლის 9 ნოემბრის ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, კრედიტორს უფლება აქვს მოვალის მიმართ გამოიყენოს მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა



კანონმდებლობით დადგენილი ზომები და გადახდა მიაქციოს მოვალის სხვა ქონებაზე (იხ. სარჩელი, ტ. 1, ს.ფ. 1-5).

მოპასუხის მიერ წარმოდგენილი შესაგებლის მიხედვით, მოვალე და კრედიტორი უფლებამოსილნი არიან თავადაც მიიღონ მონაწილეობა აუქციონში. ვინაიდან კრედიტორმა აღნიშნული შესაძლებლობა არ გამოიყენა, ხოლო იპოთეკით დატვირთული ქონება აუქციონის წესით ვერ გასხვისდა, ამიტომ აღსრულების შეწყვეტის გამო, კრედიტორმა მოთხოვნის დაკმაყოფილების უფლება დაკარგა. შესაგებლის ავტორის განმარტებითვე, იმის, გამო რომ კრედიტორი გადახდილ თანხებს განმეორებით ითხოვს, რითაც უსაფუძვლოდ მდიდრდება, ამიტომ იგი **შეგებებული სარჩელის აღძვრას აპირებს**, რათა კრედიტორ **ნ. ც.-ს** ზედმეტი თანხების უკანონოდ მიღებაში ხელი შეუშალოს (იხ. შესაგებელი, ტ. 1, ს.ფ. 71-77).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლი პირველი ნაწილის შესაბამისად, მოპასუხე ვალდებულია სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მიღების შემდეგ, სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგინოს სასამართლოს თავისი პასუხი (შესაგებელი) სარჩელზე და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე თავისი მოსაზრებები სარჩელისათვის დართული დოკუმენტების შესახებ და მოსარჩელისათვის პასუხის (შესაგებლის) და თანდართული დოკუმენტების ასლების გაგზავნის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ამავე მუხლის მიხედვით, მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოპასუხის წერილობით პასუხში მითითებული უნდა იყოს, თუ რა საპროცესო საშუალებებით აპირებს მოპასუხე სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, **ხომ არ აპირებს შეგებებული სარჩელის აღძვრას**, ხომ არ უარყოფს სარჩელის დასაშვებობას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის მიხედვით, მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძვას მოსარჩელის მიმართ შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად, ხოლო 189-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ პუნქტის თანახმად, შეგებებული სარჩელი დასაშვებია, თუ მისი დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

განსახილველ შემთხვევაში საქმის მასალებით დგინდება, რომ მოპასუხე მხოლოდ შეპასუხებით შემოიფარგლა. მას შეგებებული სარჩელი არ აღუძრავს (იხ. საქმის მასალები, ტ.1.).

პალატა განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის საგანს წარმოადგენდა კრედიტორის მოთხოვნა აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლის თაობაზე. შესაბამისად, მისი სარჩელის დაკმაყოფილება გულისხმობდა ახალი სააღსრულებო ფურცლის მოპოვებას მოპასუხე ე. ფ.-ს სხვა ქონებაზე. ამავე სარჩელის მიხედვით, მოთხოვნის იურიდიული მართებულობას უზრუნველყოფდა 2010 წლის 19 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მე-5 პუნქტის ჩანაწერი მასზედ, რომ იპოთეკარს უფლება აქვს, მოთხოვნის სრულად დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გამოიყენოს მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების კანონმდებლობით დადგენილი სხვა ზომები მოვალის მიმართ და გადახდა მიაქციოს მოვალის სხვა ქონებაზე. შესაბამისად,



საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის კონტექსტში შესაგებლის არგუმენტი მიმართული უნდა ყოფილიყო იმისაკენ, რომ მითითებული მოთხოვნა არ დაკმაყოფილებულიყო, კერძოდ, არ შეცვლილიყო აღსრულების საშუალება და წესი და ნ. ც.-ს მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სარეალიზაციოდ არ მიქცეულიყო ე. ფ.-ს სხვა ქონება. რაც შეეხება სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხების შემცირებას, აღნიშნული მოთხოვნა სარჩელში წარმოდგენილი არ ყოფილა და ვერც იქნებოდა, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნის წარმდგენი სუბიექტი კრედიტორი იყო და არა მოვალე. შესაბამისად, თუ ე. ფ.-ს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის მიხედვით, წარმოდგენილი მოთხოვნის ჩათვლა ან გამორიცხვა სურდა, ასეთ შემთხვევაში მას სარჩელისაგან თავის დაცვის სხვა საპროცესო საშუალება უნდა აერჩია, კერძოდ, მას ნოტარიუსის მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხების შესამცირებლად შეგებებული სარჩელი უნდა აღედგინა, რასაც იგი აპირებდა კიდევ, თუმცა, შესაგებლის ავტორმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მის მიერვე განხორციელებული აღნიშვნა (მითითება) (ტ. 1, ს.ფ. 77) სისრულეში არ მოიყვანა და შეგებებული სარჩელი არ აღმდგა, რითაც, მოპასუხემ, პალატის მოსაზრებით, ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცელში მითითებული თანხების შემცირების უფლება, წინამდებარე საქმეზე გამართულ სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში, დაკარგა. მიუხედავად ამისა, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით, შესაგებლის ფარგლებში, მოპასუხის სასარგებლოდ, თანხები კორექტირებულ (შემცირებულ) იქნა¹. იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო საჩივარი ნ. ც.-მ არ წარმოადგინა, იგულისხმება, რომ კრედიტორი აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილებას დაეთანხმა. შესაბამისად, მითითებულ ნაწილში კრედიტორის სასარგებლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ვერ შეიცვლება, პირველ რიგში, კრედიტორის სააპელაციო საჩივრის არარსებობის გამო, ხოლო, მეორე რიგში, აპელანტის საპროცესო-სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესების დაუშვებლობის გამო (ერთი აპელაციის ფარგლებში აპელანტის მდგომარეობის საუარესოდ შებრუნების დაუშვებლობა). ამ მიმართებით, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ საუარესოდ შებრუნების აკრძალვის პრინციპი წარმოადგენს საჩივრის შეტანის უფლების უზრუნველყოფის გარანტიას, რომ

¹ მითითებული მოსაზრება წარმოადგენს საპროცესო ნორმის პალატისეულ განმარტებას და არ შეიცავს მტკიცებას მასზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ ნორმა არასწორად განმარტა, ვინაიდან წარმოდგენილი სამართალწარმოება გარკვეული თავისებურებით გამოირჩევა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ნ. ც.-ს სარჩელით სადავოდ გამხდარი მოთხოვნა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის კონტექსტში, აღსრულების ეტაპზე, გადაწყვეტილების გამოტანი სასამართლოსათვის განცხადებით მომართვის გზით, გადასაწყვეტი საკითხია. მოცემულ შემთხვევაში კი, დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრა სასამართლოს მხრიდან მართლზომიერად შეფასდა იმდენად რამდენადაც, სააღსრულებო ფურცელი ნოტარიუსის მიერაა გაცემული და არა სასამართლოს მიერ, შესაბამისად, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა მარტივად, განცხადებით, მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლზე დაყრდნობით ვერ განხორციელდებოდა. ამდენად, აღნიშნული სამართალწარმოების ფარგლებში წარდგენილ სარჩელსაც და შესაგებელსაც გარკვეული თავისებურები ახასიათებს, შესაბამისად, შესაძლებელია საპროცესო ნორმა განმარტებულ იქნეს იმგვარად, რომ სახვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის მოთხოვნით სარჩელის არსებობის პირობებში, თანხის ოდენობის შედავების მიზნებისათვის, შესაგებლის წარდგენა საკმარისია. თუმცა, აღნიშნულ განმარტებას პალატა არ იზიარებს და სათანადო დასაბუთებულება წინამდებარე განჩინების სამოტივაციო ნაწილშია ასახული.



გადაწყვეტილება, რომელიც მის სასარგებლოდაა გამოტანილი, მის საზიანოდ არ შეიცვლება.² რაც შეეხება აპელანტის, მოცემულ შემთხვევაში, მოვალე ე. ფ.-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნას შემცირებული თანხების კიდევ უფრო შემცირებასთან დაკავშირებით, პალატა მიიჩნევს, რომ მითითებული თანხების კორექტირება (შემცირება) მოვალის სასარგებლოდ ვერ განხორციელდება მოვალის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაბამისი შეგებებული სარჩელის წარდგენის გარეშე (შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით წარდგენის გარეშე). ამდენად, სააპელაციო პალატა, საპროცესო-სამართლებრივი თვალსაზრისით, შეზღუდულია, იმსჯელოს აპელანტ ე. ფ.-ს მიერ წარმოდგენილი მოთხოვნის თაობაზე თანხების შემცირების ნაწილში. შესაბამისად, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნულ ნაწილში, მითითებული საპროცესო-სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, ე. ფ.-ს სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება აპელანტის პრეტენზიას სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის თაობაზე, აღნიშნულთან დაკავშირებით პალატა განმარტავს, რომ მართალია, სააპელაციო საჩივარში მითითებული არ არის, თუ რატომ მიაჩნია აპელანტს უსწოროდ აღნიშნულ ნაწილში გამოტანილი გადაწყვეტილება, თუმცა, ვინაიდან სააპელაციო საჩივარში, აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სრულად (ტ.1, ს.ფ. 176-185), ხოლო დაზუსტებულ განცხადებით აპელანტი მხოლოდ თანხებს აკონკრეტებს (ტ. 2, ს.ფ. 8-9), ამიტომ, პალატა მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნა აღნიშნულ ნაწილსაც შეეხება. შესაბამისად, პალატა მიზანშეწონილად თვლის, ყურადღება გაამახვილოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მართებულობაზე სხვა ქონებაზე ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცლის აღსასრულებლად მიქცევის ნაწილშიც.

პალატა განმარტავს, რომ აუქციონზე ქონების გასხვისების შეუძლებლობა არ წარმოადგენს მოვალის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველს. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება, მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის შესაძლებლობის შესახებ. აღნიშნული დასკვნის ნორმატიულ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი, კერძოდ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 301-ე მუხლის 1¹-ე ნაწილის მიხედვით, მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფის საშუალებაც არის იპოთეკა, დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ არის იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარავად, თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონი 75-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, თუ დადგენილი წესით ჩატარებული აუქციონი, რომელიც შედგება პირველი აუქციონისა და ორი განმეორებითი აუქციონისაგან, უშედეგო აღმოჩნდა და ქონება არ გაიყიდა, ეს ქონება თავისუფლდება იძულებითი რეალიზაციის განმახორციელებელი კრედიტორის სასარგებლოდ დადებული ყადაღისაგან. ამ ქონებაზე იმავე მოთხოვნასთან დაკავშირებით იმავე კრედიტორის სასარგებლოდ სააღსრულებო წარმოება აღარ განხორციელდება.

² იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე Nას-86-419-09



ერთი მხრივ, ე. ფ.-სა და მეორე მხრივ, ნ. ც.-ს შორის გაფორმებული 2010 წლის 19 ნოემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მე-5 პუნქტის შესაბამისად, იპოთეკარს უფლება აქვს, მოთხოვნის სრულად დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, გამოიყენოს მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების კანონმდებლობით დადგენილი სხვა ზომები მოვალის მიმართ და გადახდა მიაქციოს მოვალის სხვა ქონებაზე (ტ.1, ს.ფ. 10-14).

ამდენად, მხარეთა შორის არსებობს შეთანხმება მოთხოვნის იპოთეკით დატვირთული ქონებით დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მოვალის სხვა ქონებაზე აღსრულების მიქცევის თაობაზე. შესაბამისად, კრედიტორ ნ. ც.-ს სასარჩელო მოთხოვნა დასაბუთებულია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სახეზეა ნოტარიუსის სააღსრულებო ფურცელი, ამიტომ, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლას გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო ვერ განახორციელებს, ვინაიდან არ არსებობს აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, აღსრულების საშუალებისა და წესის შეცვლა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის საგანია, რაც, განსახილველ შემთხვევაში, ზემოაღწერილ ნორმატიულ დებულებათა გათვალისწინებით, იურიდიულად მართებული და დასაბუთებულია.

5. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნიან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძვლებს, შესაბამისად, პალატა ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას და ასკვნის, რომ იგი უცვლელად უნდა დარჩეს.

6. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევებიც.

„ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ინვალიდები - ველა სარჩელაძე. მოცემულ შემთხვევაში, აპელენტი, ე. ფ. ომის II ჯგუფის ინვალიდია.

სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ

და ა დ გ ი ნ ა



1. ე. ფ.-ს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მისი სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით დასაბუთებული განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში საკასაციო საჩივრის წარდგენის გზით.
4. განჩინების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება განჩინების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია განჩინების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია, განჩინების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება განჩინების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.
5. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასევე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩაბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ქეთევან მესხიშვილი

მოსამართლეები

ნათია გუჯაბიძე

ნატალია ნაზლაიძე